

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის

2022 წლის ანგარიში

- 2022 წლის იანვარში, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორმა რევაზ ბაბილუამ საზღვაო სანავიგაციო დახმარებების საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის ხელმოწერის პროცედურაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება მიმდინარე წლის 26 იანვარს სენ-ჟერმენ-ან-ლეში (საფრანგეთი) IALA-ს (შუქურების საერთაშორისო ასოციაცია) სათაო ოფისში გაიმართა. ხელმოწერის პროცედურაში მონაწილეობდა გაეროს წევრი საზღვაო ქვეყნები. მასპინძელი ქვეყნის სტატუსით, ცერემონიას საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ წევრი ქვეყნის სტატუსით საქართველო აქტიურად იყო ჩართული IALA-ს საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის და აღნიშნულთან დაკავშირებული სამუშაო დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ახალი სტატუსი შესაძლებლობას მისცემს ორგანიზაციას, უფრო მეტი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებში ნაოსნობის უსაფრთხოების გაუმჯობესების, საზღვაო გარემოს დაცვისა და საოკეანო მართვის კუთხით. ასევე, მოახდინოს მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებში ნაოსნობის ერთიანი წესების დანერგვა და ჰარმონიზაცია.
- 2022 წლის მარტის თვეში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის შავი და აზოვის ზღვების სამუშაო ჯგუფის (BASWG - 2022) შეხვედრაზე მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განხილული იქნა, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჰიდროგრაფიული სამსახურების ურთიერთანამშრომლობასა და კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხები.
- 2022 წლის აპრილში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების (MBSHC) შეხვედრაზე მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაცია ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების (MBSHC) შეხვედრებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მართავს აღნიშნულ რეგიონში წარმოებული რუკების საზღვრების დელიმიტაციის, საზღვაო რუკათა წარმოების და ნაოსნობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. აღნიშნულ კომისიაში ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კომისიის მიმდინარეობისას მონაწილე ქვეყნებმა იმსჯელეს ჰიდროგრაფიაში სივრცითი მონაცემების და ინფრასტრუქტურის ინტეგრაციის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველომ მონაწილეობა მიიღო აღნიშნული კომისიის

სტატუტის შეცვლის პროცესში, რომელიც კომისიის რესტრუქტურირებისა და პროცედურული საკითხების შეცვლას ითვალისწინებდა. სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარმოდგენილი რვა პროექტიდან საერთაშორისო ჰიდროგრაფიულმა ორგანიზაციამ საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის ავტორობით წარმოდგენილი დოკუმენტი შეარჩია, რომელიც აღნიშნულ კომისიაზე შევიდა ძალაში.

- მაისში საქართველოში ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მესამე ეტაპი დაიწყო, რომელიც სამხრეთ კორეის ოფიციალური განვითარების დახმარების პროგრამის (ODA) -ს ფარგლებში მიმდინარეობს. პროექტის მიმდინარე ეტაპზე ჰიდროგრაფიულ სამსახურს სამუშაო ვიზიტით სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიული სააგენტოს სპეციალისტები ეწვივნენ, რომლებიც საქართველოში ორი თვის მანძილზე ბათიმეტრიულ და გეოდეზიური სამუშაოები განახორციელებს.
- ივნისის თვეში საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ბათუმის პორტში ახალი მეტეო სადგური განათავსა, რომელიც გლობალური ლიდერი კომპანია „VAISALA“-ს მიერ არის წარმოებული.
- ივლისში, საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურში, კორეის რესპუბლიკის მიერ საქართველოსთვის ჰიდროგრაფიული კატამარანის გადაცემის ცერემონია და „საქართველოს ფოსტის“ მიერ გამოცემული საფოსტო მარკის „საქართველოს საზღვაო შუქურების“ პრეზენტაცია გაიმართა. კატამარანი აღჭურვილია თანამედროვე ტიპის მრავალსიხვიანი ექოლოტით, რომელიც ზღვის სიღრმეების აზომვას მაღალი სიზუსტით ახდენს, რაც სანავიგაციო რუკების შექმნისათვის აუცილებელი კომპონენტია და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი გარანტია. აღნიშნული მოწყობილობის მიერ მოპოვებული მონაცემები ჰიდროგრაფიული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების ბაზას შეემატება, შემდგომში სანაოსნო საქმიანობაში გამოყენების მიზნით.
- საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის პროექტი “ Empower Women in Hydrography ” ჰიდროგრაფიის დარგში დასაქმებულ ქალებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებსა და გზებს მათი მეტად დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდისთვის მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა ნინო ზარანდიამ ოთხთვიანი სამუშაო სტაჟირება გაიარა მონაკოში, საერთაშორისო

ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) სათაო ოფისში პროექტის ასისტენტის თანამდებობაზე.

საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომავალში მეტი ქალი სპეციალისტის ჩართვას გეგმავს.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის მხარდაჭერით სტამბულში, თურქეთის საზღვაო ძალების ნავიგაციის, ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სამსახურში ცნობილი ამერიკული კომპანია ERSI -ის მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე მიიღო მონაწილეობა. ERSI გლობალური ლიდერია გეოგრაფიული ინფორმაციების სისტემებში (GIS) და რუკათაწარმოების დარგში. აღნიშნულ ტრენინგებზე საქართველოსთან ერთად მონაწილეობა მიიღო იტალიის, ბულგარეთის, ხორვატიის, ლიბანის, მაროკოს, მონტენეგროს და რუმინეთის ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფებმა. ტრენინგები ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი ნაწილი მოიცავდა სივრცითი მონაცემების განვითარებასა და იმპლემენტაციას, ხოლო მეორე კარტოგრაფიის მენეჯმენტის საკითხებს. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცა.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის სამმართველოს საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის სასწავლო პროგრამების კონკურსის საფუძველზე 5 თვიანი სასწავლო ტრენინგები გაიარა სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოში, რომლის დასრულების შემდეგ მას B კატეგორიის ჰიდროგრაფიული კვლევის ინჟინრის სერტიფიკატი გადაეცა. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ჰიდროგრაფიისათვის დარგში კადრების დეფიციტურობის გამო.

ტრენინგები საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ეგიდით სრულად უზრუნველყო სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტომ.